F 1
1874

# ცისკარი

## 1874

იანვარი

წელიწადი მეთვრამეტე

---

წოდება თხუზულებათა:

I.—სოფლის ამაოება, (ლექსი) ი. კერესელიძისა.
II.—კატაკომბი, (მოთხრ. ნათ.) მისივე.
III.—ტფილისის კლასიკური გიმნაზია, ი. კერესე-
. . . . . . . . . . . . . . . . ლიძისა.

ტფილისს
ქ. ხელაძის სტამბა
1874

# სოფლის ამაოება

აღმოცენდება, და რა მწიფდება,
ბოლოს სცვივდება შთამომავლობა,
ხვდება იდუმალ განგების ცელი,
და ესრედ ჭკნდება მრთელი ტომობა.
ერთი თაობა რა რომე მიდის,
მეორე მოსდევს იმას თაობა,
ვინ წინ, ვინ უკან მირბის და მირბის,
სამარის კართან არის ჭდეობა.
მოვა, მოგვივა ჩუენცა ის წამი,
თუნდა გვინდოდეს ბევრიც რომ არა,
დაუზოგველად, შეუბრალებლად,
ჩუენც კელსა გვკრამენ ამ ქუეყნითგანა.
მაშ ძმებო, მინამ დრო გაქუსთ, გიდარით,
ისიამოვნეთ ამიერ ქუეყნად,

მე კი მას ვუმზერ ამაოს თვალით,
და მის დიდება მიმჩანს მე ჩალად.
ალარც თუ ველი მსოფლიურს იმედს,
მხოლოდ ერთი მაქუს მე სამწუხრადა,
ისე არ მოვხვდე სიკუდილის ბრჭყალებს,
რომ არ დავტოვო რამ სახსოვრადა.
ვცოცხალვარ, ვწერავა, რა იმისთჳს,
ჩემზედ ისმოდეს რომ ყველგან ქება;
არამედ მისთჳს, რომ ჩემს აქ ყოფნას,
მოაგონებდეს ჩემ ჩანგის ქღერა.

ივ. კერესელიძე

1873 წელსა.

ნოემბრის 18

ქ. ტფილისს.

## XIV

იმ ღამის შემდგომს, როდესაც დახიეს და დასწვეს კეისრის უქაზი, არც პანკრატის და არცა დიოგენის შვილებს მოსვლიათ ძილი, რადგანც ისინი და სხუანიცა ქრისტიანენი უნდა წასულიყვნენ ეკკლესიაში, მოესმინათ წირვა და წასრულიყვნენ თავთავიანთა. ეს შეკრება უკანასკნელი იყო, რადგანც ეპისკოპოზისა და სამღვდელოთა ბძანებით ეკკლესიები უნდა ყველგან დაკეტილიყო და ამის შემდგომს ყველანი უნდა შეყრილიყვნენ კატაკომბებში, რომელნიც ქრისტიანები მოშორებით იდგნენ, ისინი უნდა შინ დარჩომილიყვნენ შიშისაგან. მეორეს დღეს წირვის უკან მოხვდა გულის შესაწუხარი და საკვირველი ამბავი ქრისტიანებში. რა ნახეს უნდა სწეოდა მუსრა და დევნილება, ესალმებოდნენ ერთმანერთსა, ეკკლესიაში ჰკოცნიდნენ ერთი მეორეს, გლოვობდნენ და სტიროდნენ, მართლადაც, ბევრთა ვეღარა ნახეს შემდგომს ერთმანერთი და გამოესალმნენ ამ ქვეყნად საუკუნოდ. ყველანი ტიროდნენ, ყველას ეშინოდათ და ვერც ერთი ვერა ბედავდა თავი დაენებებინა თავის სა-

რწმუოებისათჳს; მხოლოდ ყველა ამასა სთხოვდა, მიეცა ღმერთს ის მოთმინება, რომ აეტანა ტანჯვითი სიკუდილი.

კორვინიმ რომ ნახა უქაზის მოპარვა, მაშინვე ნამდვილის პირი გადმოაწერინა და მაშინვე ბოძზედ მიაკრა. იმას ძრიელ ეშინოდა ეს ანბავი არ შაეტყო მაქსიმილიანე იმპერატორსა და ამისათჳს იმ დღეს დაიმალა, რომ როგორმე დაეფარა თავისი დანაშაულობა: მეორეს დღეს, დააპირა, კორვინიმ ჯარით ჩაჰყოლოდა კატაკომბში ქრისტიანებსა და იქ სრულებით შეემუსრა, ეს ანბავი ქრისტიანებს აცნობა ჩუმათ ვიკტორიამ, რომელმაცა სადღაცა ყური მჰკრა; ეს ცნორა სებასტიანემ, იმან მაშინვე შეატყობინა ეპისკოპოსს და სამღუდელოთა, რომელთაცა ბძანება მისცეს და მრთელი ქრისტიანობა უცებ ჩავიდნენ და დაიმალნენ იმ საშინელს ბნელს კატაკომბებში, რომელიცა ისეთი სივრცისა იყო, რომ რავდენიმე ასი ათასი სული მოთავსდებოდა.

კორვინია, ფ·ლავი და ტარკვატო, რომელნიცა იყვნენ მხედრების წინამძღვარნი, გაჰყვნენ იარაღ შესხმულს ჯარსა, კორვინი და ტორკვატო რამდენიმე სალდათებით უნდა ჩასულიყვნენ კატაკომბებში, ფ. ავია

კი უნდა შემდგარიყო, ზემოთ კარებთან ჯარით, რომ ვინიცობა რომელიმე ამოვიდოდა გასაქცევად დაეჭირათ და იქვე მოეკლათ.

როდესაც ისინი ჩავიდნენ, კარიდორის თავში და-ხვდათ დიდ მალი სიბნელე, ტორკვატომ როგორც იყო მოძებნა ჩასავალი, უნდა აქედან ქვესკნელს ჩას-ულიყვნენ. ტორკვატოს ბძანებით სალდათებს ეჭირათ ანთებული ლამპები, მაგრამ იმათ წინ ვერ გაბედეს ჩა-სვლა; ლამპები რომ ვერ უნათებდნენ კარგათ, მოუ-კიდეს დიდროანს მაშხალებსა.

— არ მიყვარს, ამისთანა სიბნელეში ომი, სთქვა ერთმა სალდათმა,—მე მიომნია მინდორზედ პირის პირ მტრისა და აქ ვის ვეომოთ რომ არავისა ვხედავთ თუ არა და, ეს რა საკადრისია, ვაჟიკაცი სალდათი-სათჳს, ჩაიაროს ჩუმათ ბნელაში და უიარაღო კაცს და-უწყოს ძებნა, უიარაღო კაცის მოკვლა, რა ძნელია.

ამა სიტყვებმა სხვა სალდათებზედაც იმოქმედეს.

— ვინ იცის რამდენი არიან აქა, სთქვა, ახლა მეორე სალდათმა. იქნება ათასობით არიან, ჩუენ კი სულ თორმეტნი ვართ აქა.

— ჩუენ იმისთანა სალდათები კი არა ვართ, რომ ქვესკნელში, მტრები ვეძებოთ, ჩუენ გაშლილის მინდ-

ვრისათჳსა ვართ. დაუმატა მესამემ, ან ვინ იცის, იქნება ეს ალაგი სულ ჯადოქრებით არიან სავსენი.

ფულვია ეუბნებოდა რომ აქ ჯადოქრობა არა არის რა, იქნება რამდეიმე ქრისტიანი, რომელთაცა დიდი სიმდიდრე აქჳსთ შენახული და თქჳენცა დამდიდრდებითო. ამაზედ სალდათებმა გაბედეს და დაიწყეს ჩასვლა წინ ტია-რკვატო მიუძღოდა, როდესაც ისინი კიბით ჩავიდნენ და გაიარეს რამდენიმე ბიჯი, დაინახეს შორითგან ხამ-თლის შუქი,

— ნუ გეშინიათ, შესძახა ტარკვატომ, ის ლამპი-სა არის.

შემოესმათ გალობის ხმა. სალდათები შედგნენ,

— სუს... სუს... სთქუა ერთმა სალდათმა. ყური დაუგდეთ, ვიღაცა გალობს!

სალდათები იდგნენ და ყურს უგდებდნენ. წმინდა, მრიელი და წვრილი ხმა ისმოდა დედამიწის თაღების ქვეშა; ამ გალობის სიტყვები ცხადად და კაფიადად ეს-მოდათ შემხვლელთ ბარბაროსებს.

«უფალი, ნათელი და მსხნელი ჩემი, ვისი მეშინის მე? უფალი მცველი სიცოცხლისა ჩემისა, ვისი მერი-დება მე»

ამ გალობას, უცებ შესძახა ღაღადებით მრთელმა

ხორამ.

— ხედავ როგორ დაგვცინიან? იმახიან, არგვეშინიანთო.

ამ დროს კიდევ ერთმა ხმამ დაჰგალობა.

»უკეთუ დაგვეხსნენ ლაშქარნი, ნუ გეშინის გულო ჩემო!»

— მე მეცნობა ეს ხმა, სთქვა ჩუმათ კორვინმ. ეს პანკრატის ხმაა. ახლა სწორეთ დავრწმუნდი, რომ ის უქაზი ამან მოიპარა! მამყევით, მამყევით! რომელიც ცოცხალს დაიჭერს, დიდს საჩუქარს მიიღებს.

— შედექით! სთქუა ერთმა სალდათმა. ვერ გესმით წერაქვების ხმა? მე დიდი ხანია ყურს უგდებ.

ამ დროს, სამთლის შუქი უცებ გაქრა და გალობაც შესწყდა.

— ეს რასა ნიშნავს? სთქვეს ერთობ.

— ეს იმასა ნიშნავს, რომ შეგვიტყეს,

— ნუ გეშინიანთ, წამოიძახა ტორკვატომ, რომელიცა მრიელ შეშინდა, თუმცა ლაპარაკობდა. წერაქვის ცემა არაფერიაო. ეს დიოგენის წერაქვის ხმა იყო, ის საფლავსა სთხრის, უთუოდ მარხამენ ვისმეს.

იმათ დაიწყეს წინ წასვლა, ნოტიობისაგან მაშხალები აპირობდა გაქრობასა; ჰაერი მცირე იყო ამ ქუწსკნელქვეშ და სალდათები მლივსლა სუნთქამდნენ.

ტორკვატო მიდიოდა წინა, რომელიცა თან თვალს ადევნებდა კუთხის გამწკრივებულს ოთახებსა; კორიდორში რომ მიდიოდნენ და რა მივიდნენ ბოლოს. უცებ სადაც სინათლის შუქი შადიოდა, იქ კედელი დახვდა, გასავალი არსაიდან ჰქონდა; მკითხველი მიხვდნენ რომ ამ მიწის შენობაში რამწავს შეიტყეს ქრისტიანებმა, მზვერაკები ასულიყვნენ იმათ დასახოცათ, მაშინვე მიეხვივნენ და ააშენეს; იმათ ადრევე შენობის მასალა მომზადებული ჰქონდათ.

ტორკვატო ძრიელ შეწუხდაამაზედ, უფრო ამით, რომ სალდათებმა დაუწყეს ლანძღვა და წყევა.

— დამაცალეთ, ერთი კარგა მოვძებნო აქაურობა, ანბოდა ტორკვატო, მე ვყოფილვარ აქა, აქაურობის ანბავი სულ ვიცი. მომითმინეთ, მე შევალ მარჯვნივ კარრიდორში და იქ ყველას ვიპოვნი.

ეს რომ სთქჳა, საჩქაროთ შევიდა,—შევიდა თუ არა, იქავე უცებ რაღაშიაც ჩავარდა და ჩაინთქო. გაკვირებული სალდათები იარებოდნენ ოთკუთხივ და არ იცოდნენ თუ რა ქნათ. ახლა კი სწორეთ დარწმუნდნენ ეს სალდათები რომ აქ რაღაცა ჯადოქრობა იყო, უცებ მოტრიალდნენ და გამოიქცნენ, შეშინებულები. ამ სირბილში, ნახეს რომ მარჯვნივ მხარეზედ, ერთს ბნელა

ოთახში, შორს, ბჟუტავდა სამთელი ერთს ალაგს უძრავად. პირველად სალდათებს ეგონათ დღის სინათლე ჩამოდიოდა, ზემოდან საიდანმე სანათურითგან, მაგრამ რომ კარგა თვალი დააკვირვეს, ნახეს რაღაცა ადამიანის მზგავსი, ის იყო მაღალის ტანისა მოყვანილი დედაკაცი, ჩაცმული სრულებით თალხის ტანისამოსით: ის ადგა უძრავათა, პირი და ხელები იმ შავებში სამთელის შუქზედ თეთრად უბრწყინავდნენ. ერთს ხელში ეჭირა სამთელი, ანთებული.

—ეს რა არის? სთქვა ერთმა სალდათმა, და ყველანი გაკვირვებისგან პირ ღია დარჩნენ.

— რაღა რა არის, ჯადოქარია რაღა! ახლა ხომ ნახეთ სულ ჯადოქრებით ყოფილა სავსე ეს ალაგი წარმოსთქვა სალდათმა მეორემ.

კორვინიამ იმდენი საჩუქრები აღუთქვა, რომ რომ გორც იყო წინ მიგზავნა. იმათ გასწიეს წინ წყნარა, მშიშარი გულით და იარაღი მოიმზადეს. ის ადამიანის სახე მაინც არ ინძრევოდა. ბოლის იმ მოჩვენებას ორმა სალდათმა ხელი სტაცა.

— ვინა ხარ შენ? ჰკითხა კორვინიმ.

—მე ვარ ქრისტიანი, მიუგო წყნარა და მშვიდობიანის ხმით მოჩვენებამ.

ეს იყო ცეცილია.

— გამოათრიეთ აქ. დაუყვირა კორვინიმ.

— აქ რას აკეთებ ცეცილლიავ? . ჰკითხა პანკრატიმ.

—მე დამნიშეს ამ ალაგზ ყარაულად, ჩემი ვალია კარებთან ვიდგე და გამოუნათო იმათ, ვინც ქრისტიანი ჩ ამოვა.

—მერე მტერი რომ იყოს და წაგიყვანოს?

—რა ვქნა რომ წამიყვანს; მინამ აქედან ფეხს ვერ მოვიცლი, მინამ ჩუჱნი ქრისტიანობა სულ არ ჩამოლაგდება.

— გააქრე სამთელი! რათ გინდა, შენ ხომ მაინც უსინათლო ხარ.

—სხვას გაუნათებს.

— ის სხვა თქუჱნი მტერი რომ იყოს?

— როგორც ღვთის ნებაა! მიუგო ცეცილლიამ, რაც უნდა იყოს ამ ალაგს, რომელიცა მამანდო ეპისკოპოზმა თავს ვერ დავანებებ.

სტაცეს რა ხელი ცეცილლიას, ამოათრიეს ზემოთ, ამის მეტი იქ ვერა იპოვნესრა.

ფულვიამ მოისო ეტლში, სადაცა ელაპარაკებოდა დაუყვავებით, რომ გამოეთქმევინებინა თუ სად იყვენ

დაბარებული ქრისტიანები ის ყოფილიყო. უნდა კატაკო-მბებში წინამძღვარი, რადგანც ამ უსინათლო-მ ყველა ხედ უკეთ იცოდა იმ კატაკომბი გარემოება.

— დიდი ხანია ბრმა ხარ შენ საწყალო? ჰკითხა იმან.

— დაბადებითგანვე ბრმა ვარ.

— საიდანა ხარ? მიანბე შენი თავს გადასავალი.

— მე არაფერი თავსგადასავალი არა გადამხედიარა. ჩემნი დედმამანი ღარიბები იყვნენ, მაშინ ვიყავი ოთხი წლისა, როდესაც მომიყვანეს იმათ რომში. ისინი ამისათჳს მოვიდნენ, რომ თაყვანი ეცათ წმინდა დარიას საფლავისათჳს, ისინი ევედრებოდნენ ჩემთჳს, თვალს სინათლე მომცემოდა, როდესაც ისინი მოვიდნენ კატა-კომბში საფლავის თაყვანის საცემლად, ისინი იქ კერ-პთთაყვანის მცემელთა ცოცხლებს მიწა დააყარეს, კეისრის ბმანებით ქრისტეს გულისაჳის.

— მერე როგორა სცოვრებდი აქამდინ?

— როგორც ღუთის ნება იყო; ღმერთი, მამაა ჩემი, ეკკლესია იმისი, დედა ჩემი. ღმერთი ზდის ჰატარა ფრინველებსა, ხოლო ეკკლესია მფარველია უღონო-თა დ სნეულთა თავის სამწყსო ცხვართა. თავისდღეში მე არ მინახავს დაჭირება დ არ ვიცი რა არის სიღარიბე.

მე მეწეოდნენ, მზრდიდნენ და ყველას უყვარდი.

—ვისა? ჰკითხა ფულვიამ.

—ჩემთა დედ-მამათა, ძმებსა, დებსა,

—აკი თქვი არც დედ-მამა მყავს, არცა ძმა და არცა დებიო.

—მე ამას ვამბობ ქრისტეზედ.

ფულვია რა ვერ მიხვდა, განაგრძელა.

—შენ მე ადრეც მინახვიხარ; შენ ყველგან ისე დადიხარ, როგორც თვალხილული.

—ეგ მართალია. შეხებით, ყველა რომის ქუჩები ვიცი; და თუ შემცდენია გზა, კეთილნი კაცნი მომხმარებიან.

—შენ თვითან ანბობ რომ ქრისტიანი ხარ?

—რასაკვირველია ქრისტიანი ვარ, განა შეიძლება დავმალო!

—აგნესას სახლში ვინც შეყრილიყვნენ იმ წინაზედ, სულ ქრისტიანები იყვნენ? აგნესაც ქრისტიანია?

—სულ ერთიან და თჳთან აგნესაც ქრისტიანია,

იმას ეს უნდა შეეტყო. აგნესა განა ქრისტიანი ყოფილა! ფიქრობდა ეს ახლა კი ჩემს ხელშია ის. ახლა კი უჭველად შევირთავ, არ დათანხმდება, მაშინვე გავ-

ცნობებ მსაჯულს დ ლუკმა ლუკმად ვაქცევ, მაინც იმისი სიმდიდრე მე დამრჩება.

— ახლა შენ იცი საით მივდივართ?

— უეჭველია ამ ქვეყნიერ მსაჯულთან, რომელიცა მიმცემს ზეციერს მსაჯულს. უპასუხა ცეცილლიამ.

—რატომ აგრე გულდამშვიდებით ლაპარაკობ? უთხრა განკვირვებით ფულვიამ.

—რისა მეშინიან? მე წავალ ჩემს ზეციერ მამასთან დ მოკვდები სიხარულით ჩემის უფლისათჳს.

რამწავს მიიყვანეს ვირვინის მამასთან, მსაჯულთან, სიტყვაც აღარა ჰკითხა რა დ მაშინვე უბძანა ჯალათებს.

— გაათრიეთ ახლავე!

ჯალათებმა მაშინვე სტაცეს სელი დ გაიყვანეს მეიდანზედ, სადაცა იდგა ჩარხი, რომელსაცა გარშემო მკვეთელი შუბები ერჭო დ სადაცა ხალხი დიდ ძალი მიეხვივა. ის საბრალო, უმანკო ქალი მიაკრეს სედ მაგრა, ის ჩარხი ულეწავდა მრთელს ტანის ასოებასა დ აშორებდა ერთმანეთს როგორც, ტანსა, ისე მუხლებს. ცეცილია ჩუმათ იყო, მხოლოდ პირს გადაეკრა ზაფრანის ფერი. რამწავს დაატრიალეს ჩარხი, მაშინვე მრთელი ტანი ცეცილიასი გაიჭიმა თოკივით,

ტანჯვა იმისი იყო უუსაშინელესი. უფრო ამისათჳს იტანჯებოდა, რომ ვერაფერსა ხედავდა, მხოლოდ გრძნობდა დიდს სატანჯველსა.

— გიბძანებ შენ, შეუძახა მსაჯულმა. დაანებე თავი შენს სარწმუნოებასა, ცეცილიამ ჰასუხი არ მისცა, ჰირველად მაღლის ხმით, შემდგომს თან და თან მიმკვდარებულის ხმით ლუღლუღებდა.

— აბა, არც ახლა აიღებ ხელს შენს სარწმუნოებაზედ. შეუძახა ხელმეორედ მსაჯულმა.

— მე ქრისტიანი ვარ, ძლივს წამოილუღლუღა საბრალომ.

ერთიც დაატრიალეს ჩარხი, ხმა გაკმინდა ტანჯულმა. და მხოლოდ ძვლების მტვრევის ხმაღა ისმოდა.

— თავვანი ეც ჩუჩნს ღნერთებს. უბძანა მსაჯულმა,

— ხმა არა ვინ გამოსცა.

იმან კიდევ გაიმეორა წურომით.

ჯალათმა რა შეხედა ჰირზედ ცეცილლიას, უცებ უკან შედგა,

— რა ანბავია? ჰკითხა მსაჯულმა.

მომკდარა! მიუგო იმან.

— მართლა თუ! ასე მალე!

ამ დროს, ხალხითგან გამოსქდა დამუქარების ხმა.

— დესპოტო, ბარბაროსო! უყურე მაგ ბავშს, უმა-ნკო ბავშსა ქრისტიანს და შეიტყე, რომ მაგ სახით მოკლულნი შედიან სასუფეველში! ჩუჱნთანა არს ღმე-რთი და იმისი მრიელება!

— ახლა კი ვეღარ წამიხვალ ხელითგან! შეჰყვირა კორვინიმ, რა შევარდა ხალხში და გამოუდგა ვიღასაცა, განმვინვარებულ პირუტყვივით, ამ ხალხში ის წააწყდა ერთს ვიღაცა მოსულს აფიცარსა და ეცა შიგ გულში. ისე მრიელად ეცა, რომ კორვინი დაბარბაცდა, აფიცე-რმა შეიმაგრა და ჰკითხა.

— ხომ არა გაიტეხერა კორვინი?

— არა, არა, გამიშვი!

— მოიცა, ნუ ჩქარობ; გაანჩხლებული რომ ხარ, ვერა გრძნობ თავის ტკივილსა, ხომ ფეხი არ მოგ-ტყდა, ან ხელი?

— თავი დამანებე, შეჰყვირა კორვინიმ, თორემ გამექცევა.

— ვინა? ვინ იყო? ეუბნებოდა აფიცარი და თან გზას უღობავდა.

— პანკრატი იყო, განა ვერ დაინახე? იმან შეარც-ხვინა მამა ჩემი.

პანკრატი? უთხრა კვადრატიმ, მითომ განკვირვებით და

მიიხედ-მოიხედა. მე იმას ვერა ვსედავ აქა, რა იქნა? იქნება ისე მოგელანდა?

როდესაც გაუშვა კორვინია, აქეთ ეცა, იქით, მაგრამ ჰანკრატი ვერ იპოვნა.

მსაჯულმა უბძანა ჯალათებს გადაეგდოთ ცეცილიას გვამი ტიბრის მდინარეში, მაგრამ მეორე აფიცარმა, რომელიცა რა ჩუმათ მოვიდა ამასთანა, ქისით ფული აჩუქა.

— გამოიტანე ეგ გვამი ამალამ ქალაქ გარეთ დ იქ დაასვენე ვილლას ახლო, უთხრა ჯალათს აფიცარმა.

— აღვასრულებ! მიუგო ჯალათმა.

აფიცარი იყო სებასტიანე, რომელიცა უცებ გაქრა ქუჩებში.

# XV

ქალაქის მსაჯული მივიდა სასახლეში დ მოახსენა იმპერატორს უქაზის დახევა, მაგრამ მაქსიმიანმა ეს ამბავი კიდეც იცოდა, აღარ დააცალა ტერტულლუს ეთქვა რამე, მაშინვე სასტიკის ხმით უბძანა კეისარმა;

— სად არის შენი სულელი შვილი?

— ის მოელის თქუენს ბძანებას, მოვიდეს დ

ანბოთ მიზეზი იმ შემთხვევისა; თუ რა განგებამ ჩაუშალა საქმე.

— განგებამ! დაიძახა მაქსიმილიანმა! სჯობია ასე იქნა, იმისმა სულელურმა ჭკუამ ჩაშალათქო.

ვირგინი მოვიდა სასახლეში ცოცხალ მკვდარი; იმან იცოდა მაქსიმიანეს სიკაპასე.

— წინ წამოდექი! უბძანა მაქსიმიანმა. წამოდექ და მიამბე შენი გამარჯვება. როგორ გაქრა ჩემი ბძანება და ქვემგნელის რა იყო მიზეზი, რომ ერთის მეტი დედაკაცი ვერ დაიჭირე, როდესაც რომ იქ ასობით და ათასობით არიან ქრისტიანები.

ვირგინი მოჰყვა ყოყმანობით ლაპარაკსა, რაც ღონე ჰქონდა უანაგრძობდა და რასაკვირველია არა ზოგავდა ქრისტიანებზედ ცუდს ლაპარაკსა, ის უმტკიცებდა, აქ გაუმარჯვებლობის მიზეზი იყო ქრისტიანების ჯადოქრობა; მაგალითად მოუტანა, თუ როგორ გაქრა უცებ ტარკვატო. მაქსიმილიანე დაიცინებოდა კორვინიაზედ, რომ ატყობდა იყო მშიშარა; კორვინი შიშისაგან თრთოდა და ბოლოს დაეცა კეისრისა წინ მუხლებზედ; ევედრებოდა ეჩუქებინა ეს დანაშაული. კეისარმა ჰკრა წიხლი და უბძანა კარის კაცთ, გაეგდოთ გარეთ.

ეს რომ ნახა კორვინიმ, ეგონა მოსაკლავად მიჰყვა-

ვთო და დაიწყო ხვეწნა.

— დაიცევი ჩემისიცოცხლე! მე უნდა მოგახსენოთ ერთი საიდუმლო რამ.

— რა? თქვი. ჩქარა თქვი, ხომ იცი არ მიყვარს მოცდა.

— ერთი ყმაწვილი გაცია, რომელსაცა ჰქვიან ჰანკრატი, იმან დახია ის თქვენი ბმანება. ის არის ქრისტიანი.

— მერე რატომ მაშინვე არ დაიჭირე და არ მოკალი?

— ბევრს ვეცადე, მაგრამ ვერ მოვახერხე. მე და ის შკოლაში ერთად ვსწავლობდით. ჩვენი შკოლის მასწავლებელი კასსიანეც, როგორც ბოლოს შევიტყე ქრისტიანი ყოფილა.

— როგორავო, შკოლის მასწავლებელი ქრისტიანია! შეჰყვირა გაჯავრებით მაქსიმიანმა, - სად არის ახლა ის კასიანე?

— ტორკვატომ ხელი აიღო ქრისტიანობაზედ, იმას ეცოდინება. ის დიდ ხანს იდგა, ძველი მსაჯული რომ არის ხრამატში, იმასთან, ის ხრამატაიც ქრისტიანია.

— როგორ, ის გადამდგარი ქრისტიანიც ქრისტიანია? მერე თავისთან ინახავს იმისთანა ავაზაკებსაცა.

მსაჯული ქრისტიანია? ეს კარგი ანბავია, ახლავე დაფანტე სალდათები, აპოვნინე სადაც უნდა იყვნენ, თითონ ტორკვატოც დააჭერინე.

— ტორკვატომ ხომ თავი დაანება ქრისტიანობას, ის რაღა საჭირო გასლავთ. მოახსენა კორვინიმ.

— სულ ერთია! ახლა იმას გამოვიძიებ, ვინ დაანება თავი და ვინ არა! ხომ იყო ქრისტიანი, ხომ იცნობდა ყველას, რატომ არ შემატყობინა.

— უცებ დაიკარგა, აკი მოგახსენეთ ქვესკნელში, მოახსენა კორვინიმ, იქ რაღაც ჯადოქრობა იყო, და გაქრა უცებ.

— რა ჯადოქრობა? რას ტუტუცობ! ეგ სულელობაა! იპოვნე ახლავე სადაც უნდა იყვნენ.

მაქსიმიანე ადგა, რა მოაგონდა რომ ვახშმის დრო იყო და გავიდა ზალაში.

სებასტიანე, როგორც კარის ჯარის უფროსი, იქ იდგა და ამ ანბავს ყურს უგდებდა; გამოვიდა, სასახლის ჯარს ბძანება მისცა და თითონ წავიდა საითკენღაცა.

ახლა დაუბრუნდეთ ტორკვატოსა, რომელიცა უცებ გაქრა ქვესკნელის უფსკრულში. როდესაც შეშინებული ტორკვატო შევარდა მარჯვნივ მხრივ შესავლისაკენ, ის უცებ ჩავარდა იმ ძველს და დამპალს კიბეზედ, რომე-

ლიცა ჩავიდოდა კიდევ ქვემოთ მღვიმეებში; იმ საშინე-ლს სიბნელეში; იქ იყო ძირის ისტაკების წყობა. იმას გავარდა ხელითგან მაშხალა. ის უეჭველია მოკვდებო-და, თუ დაცემულიყო მაგარ მიწაზედ, მაგრამ იმის ბე-დზედ, ქვემოთ დახვდა რა რბილი ქვიშა, დიდ ხანს ეგ-დო უგონოთ, ბოლოს გონებაზედ რომ მოვიდა, წა-მოდგა; სიბნელე იყო უუსაშინელესი. ის ხელის შეხე-ბით წყნარ წყნარა მიდიოდა წინ და სვით, სულ არა გაეგებოდარა, რამდენიმე მინუტის შემდგომს შედგა, იტაცა თმაში ხელი და ფიქრობდა, თუ სად იყო. ცო-ტცოტათი გონებაზედ მოვიდა. იმას მოაგონდა, რომ ჯიბეში აბედი, ტანლ-კვესი, წუმწუმა და სამთელი ჰქო-ნდა; იმან აანთო და დაიწყო აქეთ იქით ყურება, იმის, მარჯვნივ და მარცხნივ მხრივ იყვნენ ჩამწკრივებულნი საფლავები, რომელთიზედაც ზოგზედ ქვა იყო დადებუ-ლი და ზოგზედ ძვლები; ტირკვატოს ეშინოდა ძრიელ, მაგრამ რას იქმოდა. სვინიდისი სტანჯავდა, თუ რათ გასცა ქრისტიანები და რათ შეატყობინა მთავრობას იმათი აქ ყოფნა; შიმშილით სიკვდილი აქ რომ დაკა-რგულიყო, საშინელი ტანჯვა იქნებოდა იმისთვის, იქას ეგონა საიდანმე გავიდოდა, მაგრამ იმედი სულ დაეკა-რგა, რომლისაც გზას ველარ გააგნო, სამთელი ჩაეწო,

მუხლები მოეკვეთა და შიმშილმა ძალა გამოულია; თან და თან ტანჯვაემატებოდა, რა თავს ზარი დაეცა, როდესაც ნახა რომ ამ სიარულში ისევე იქ მივიდა, იმ ალაგს, სადაცა ჩამოვარდა და მირს ეგდო. იმან კიდევ მიიხედ-მოიხედა და დაინახა ისევე ის საფლავები და ისევე ის მეგლები, იმან სიარული ველარ შესძლო და დაეცა მიწაზედ. ეს იყო ადრე ქრისტიანი და ოლოს უღალატა ხარწმუნოებას, იმას წარმოუდგა თვალთ წინ ეს საშინელი დანაშაული; ის ფიქრობდა, თუ რა კეთილნი იყვნენ სამღვდელონი, როგორ გულის სიმშვიდით ასწავლიდა სახარებას პოლიკოარპი, როგორ ეწეოდა ხრამატაი, ან როგორ უალერსებდნენ ყველა ქრისტიანები ამან ისინი ყველა ახლა კი გასცა! გაყიდა! გაყიდა! მერე ვისზედ? ფულვიაზედ, უგუნურ კორვინიაზედ. იმან გასცა თავისი მეგობრები, თითონ კი გამოიხსნა თავისი თავი; ის ეგდო დიდ ხანს მიწაზედ და ბოლოს ყმაწვილივით შექმნა ტირილი.... სინანულმა დასძლია ის.

ამ დროს უცებ, გალობის ხმა შემოესმა. ის გაოცდა და თავი წამოლო. ყური დაუგდო, უფრო კაფიეთად მოისმოდა გალობა. ის გალობა იყო მწუხარების ხმაზედ და ხმას გამოსცემდა იმ საშინელს სიწყვდია-

დუში შესაწუხრად. მრთელი ხორა გალობდა. ტორკვატომ ძლივს გაარჩივა იმ მხრივ, საიდანაც მოისმოდა გალობა, რომ სამთელი ბჟუტავდა. ბოლოს რომ ცხადად შემოესმა გალობის ხმა, ეცნო იმ გალობაში ეს სიტყვები; »წმინდათა თანა განუსვენე!...»

— ეს სიტყვები ჩემთვის არ არის, იფიქრა ტორკვატომ, დ ცრემლები კიდევ მოერივნენ თვალებში. მე არაოდეს არ ვიქნები ღირსი ამ სიტყვებისა! მე განდევნილი ვარ. ეს იფიქრა დ დაიჩოქა.

სამთლების შუქი რამდენიმე გამოჩნდა კიდევ დ თან დ თან ტარკვატოს უახლოვდებოდენ. რომ შეხედა, ცხადად დაინახა კრება სამღუდელოთა. წინ მოუძღოდნენ გასათხოვარი ქალები, თეთრად ჩაცმულები, ხელში სამთლებით; იმათ უკან ოთხ ქალს აგრეთვე თეთრად ჩაცმულებს, მოჰქონდათ რაღაცა თეთრს ტილოში გახვეული, რომელსაცა ჯერ სულ წინ მიუძღოდა ახალად ნაკურთხი მთავარი საცეცხრულით, ის აკმევდა საკმელს, რომლით გამოხვდებოდა საამო სურნელება, იმას უკან მოსდევდნენ მრავალნი სამღდელონი, დ შემდგომს ეპისკოპოზი. მესაფლავე დიოგენი თავისის ორის შვილით ეპისკოპოზ გვერდს მოდევდა. შემდგომს, დიდი ქრისტიანების ხალხის გროვა მისდევდა; სუყველას

ხელში სამთლები ეჭირათ. ტორკვატომ ეს რომ ნახა, კვალად მოერია გრძნობა, და დაიჩოქა,—ამ სამწუხარო კრებამ რომ განვლო, და შევიდა მიყრუებულს სადღაცა ოთახში, ტორკვატო წამოდგა ბერბაცით და უკან გაჰყვა; რომ შევიდა, ნახა მეტად სამწუხარო სანახავი. დედა მიწაზედ გაშლილ ტილოზედ იწვა უმანკო ქალი, გულ ხელ დაკრეფილი, თეთრის ტანისამოსით, თავზედ ეხურა ყვავილებისაგან დაწნული გვირგვინი და გვერდს საკმელი ეკმეოდა, სამღდელონი გარს შემოხვეოდნენ და მრთელნი იქ მყოფნი სტიროდნენ. ბოლოს აიღეს გვამი და ჩაასვენეს საფლავში.

ტორკვატომ ჰკითხა ჩუმათ ერთს ქრისტიანს, თუ ისა მარხავდნენ?

— არა ვმარხავთ, მიწას ვაბარებთ, მიუგო ქრისტიანმა,—ნეტარ ხსენებულს ცეცილიასა, რომელიცა დღეს დილით კატაკომბში დაიჭირეს სალდათებმა და მოკლეს.

—მე ვარ მკვლელი! მე ვარ! დაიყვირა ტორკვატომ ისეთის საშინელის ხმით, რომ ქრისტიანები განს გადგნენ.—ბარბაცით მიუახლოვდა ის ეპისკოპოზს და დაიჩოქა იმის წინ.

—მე შევცდი, ყოვლად უსამღვდელოესო მამაო! მოა-

ხსენა იმან. მე შევცოდე დ არა ვარ ღირსი დავეცე შენთა ფესრთ ქვეშე, არა ვარ ღირსი, შვილად წოდებისა შენისა.

ეპისკოპოზმა წამოაყენა დ უთხრა:

— ვინც უნდა იყო შენ, მოვედ სახლსა მამისა ჩუჱნისასა! აკურთხე სახელი მისი, ევედრე მას, მოგიტევოს შეცოდებანი შენი. ჩუჱნ საზოგადოდ ვილოცავთ შენთჳს. სინანული არს გზა გამოხსნისა.

— ეპისკოპოზმან მიანდო ტორკვატო დიოგენსა დ იმის შვილებს, რომ დაეცვათ ფულვიას დ კორვინის დევნილებისაგან, ის იყო ჩაწერილი სინანულთა შორის.

სებასტიანე იქ იმყოფოდა, ცეცილლიას დამარხვის დროსა, იმისათჳს მარტო არა, ის მოვიდა დ აცნობა ეპისკოპოზს მარკელლას, რომ იმისი სიცოცხლე საშიშროებაში იყო მორიდებოდა. ის იყო სასარგებლო კაცი ქრისტიანეებისათჳს დ საჭირო იყო იმისი სიცოცხლე. ის ამოიყვანა, დ ერთის ცეზარების სასახლეში, მიყრუებულს ალაგს, ერთს ქრისტეს მოყვარე დედაკაცთან რომელსაცა ერქვა ირინე, ბინა მისცა, დ თითონ სებასტიანემ მეორე დღეს დილა ადრიან მივიდა პანკრატისთან სახლში.

— აბა ჩემო მეგობარო, თავს უშველე, დროა. უთხრა სებასტიანემ. ცხენები მზათ არიან, თან ტორკვატო წაიყვანე და გადი ამ რომის ქალაქითგან.

— რისთვისაო? ჰკითხა პანკრატიმ. რა მოშიშარი კაცი მე ვარ?

— ახლა დრო არ არის ლაპარაკისა, თავს უშველე.

— თავს უშველო იმ დროს, როდესაც ჩემი ძმები და დები სიკვდილს მიეცემიან. კარგს რასმეს მარიგებ.

— კორვინი დაგეძებს დასაჭერად, დღეს კეისრის სასახლეში გადაწყვიტეს. უთხრა სებასტიანემ.

პანკრატიმ არ გაუგონა სებასტიანეს, იმან ირჩივა თავისი თავი სხვერპლად შეეწირა და მოშორებით კი ვერ მოშორდებოდა; ის მხოლოდ შევიდა, თავის დედას გამოესალმა და გამოვიდა. დედა ლიუცინა უყურებდა თვალ დაკვირვებით იმ ალაგს, სადაცა თავისი შვილი ამ ერთის წამის წინ იდგა, თითქმის იმისი სახე იქ დარჩაო, უყურა, უყურა და დაიწყო რა ტირილი, შევიდა თავის სამლოცველო ოთახში.

# XVI

კასსიანე, მასწავლებელი შკოლისა, კორვინიამ დააჭერინა შიგ შკოლაში, როდესაც ასწავლიდა უმაწვილებს, გამოიყვანეს თუ არა გარეთ ეს ღრმად მოხუცებული, იქვე ქუჩაში მისცვივდნენ ჯალათები და თავი მოსჭრეს. მერე კორვინი თავის ჯალათებით დაედევნა პანკრატისა, საუბედუროდ, იმას მოახელებს ერთს ქუჩაში, რომელიცა მიდიოდა ვილლაში ქრისტიანების დასახედავად. ის მაშინვე დაიჭირეს, წამოიყვანეს ხელებ გაკრული და ჩასვეს მამერტის ციხეში, საშინელს ჯოჯოხეთს ალაგს. პანკრატი არა სწუხდა, ის მხოლოდ სთხოვდა ღმერთსა, მიეცა ძალა მოთმინებისა.
ის მეორე დღესვე წარადგინეს სამსჯავროში, სადაცა საჯულმა სხჳათა დამაშავეთ შორის ჰკითხა პანკრატისა:

— გამიგონე, ჩჳენ ყველამ ვიცით, რომ კეისრის ბძანება შენ დახიე, შენ უმაწვილი ხარ და შეიძლება

შენის წლოვანების მიხედვით, გეპატიოს. დაანებე თა-
ვი ქრისტიანობასა და ეცი თაყვანი ჩუენ დიდ ღმერთე-
ბსა. კარგათ იცი დედა შენს ერთი შვილი ჰყევხარ.
კარგათ იფიქრე, თუ რა დიდი სატანჯველი მო-
გელის.

პანკრატი ჯერ ჩუმათ იყო, მერე წინ წადგა, პირს
ჯვარი გადაიწერა და უთხრა:

— მე ვარ ქრისტიანი და თაყვანსა ვცემ უხილსა
ღმერთსა ჩემსა, ძესა მისსა და სულსა წმინდასა. მიყ-
ვარს და მოვითხოვ მისგან შეწევნასა; თქუენი ღმერთნი არ
ვიცი ვინ არიან და არცა საჭირონი არიან ვიცოდე.

— მიეცით ჯალათებს! დაიყვირა გაჯავრებით მსა-
ჯულმა.

სამართალი გათავდა, იქ გადაწყვიტეს მიეცათ ტან-
ჯვითის სიკვდილისათჳს ლუკიანე, პანკრატი, იუსტია-
ნე და სხვა მრავალნი, როგორც კაცნი, ისე დედა-
კაცნი.

# XVII

---

რომში ერთს მაღალს ალაგს იყო დიდი სასახლე, რომლის მზგავსი სიდიდით მთელს ქვეყანაზედ იშვიათად მოიპოვება, იმისი შენობა ახლაცა დარჩომილია და მგზავრნი იკვირვიან რა ხედამენ. ვესპასიანმა და ტიტომა, ამ ორმა კეისარმა აღაშენეს ეს ფრიად დიდი შენობა, ამ სასახლეს ერქვა კოლიზეი. ამ შენობასა ჰქონდა შუაში თვალ უწდომი გალავანი, სადაცა მრთელი რომის ხალხი დაეტეოდა. აქ მოხვდებოდა ხოლმე დიდი სახალხო თამაშობა. ცალმხარეზედ, ერთს დიდს დარბაზში ემწყვდნენ გარეული პირუტყვები, ფოცხვერები, ვეფხვები, გარეული ხარები, დათვები და სხვანი. ეს პირუტყვნი განგებ მოუყვიდოდათ უცხო ქვეყნებითგან, ხალხის შესაქცევად და როდესაც ქრისტიანებს დევნას დაუწყობდნენ, დანიშნულს დღეს ამ გალავანში მოსკდებოდა მრთელი რომის ხალხი, საყურებლად თამაშისა, კეისარი იჯდა, საკუთრებით იმისათჳს მომ-

ზადებულს ალაგს, მიიყვანდნენ დანიშნულს დროს ქრისტიან ტუსაღებს, დააყენებდნენ შუა გალავანში და მიუშვებდნენ ზედ ამ გარეულ პირუტყვთ, რომელნიცა წეწდნენ უმანკო მსხვერპლთ და ხალხი, კერპთ თაყვანის მცემელნი, ხარხარებდნენ სიამოვნებით და ერთი ამბავი ჰქონდათ. მრთელი ის გალავანი ქრისტიანების სისხლით შეზასრული იყო. ზემოთ აღწერილთ ქრისტიან ტუსაღებს გადაუჭრეს ამ გვარ სიკვდილით დასჯა და დანიშნეს დრო ტანჯვისა.

ტანჯვით სიკვდილის წინა დღეს, ციხეში იყო გულის საკლავი ამბავი: ტუსაღი ქრისტიანები იმ დღეს იკრიბებოდნენ დასდასობით და ჰგალობდნენ ფსალმუნითგან; იმ დღეს თვითან ჯალათებსაც კი გულები მოურბილდათ. იმ ღამეს, მოუმზადეს ვახშამი, რადგან ჩვეულება იყო, სიკვდილისა წინა ღამეს ვახშმის მომზადება ტუსაღებისათჳს. კერპთ თაყვნის მცემელნი მიდიოდნენ სეირის საყურებლად ქრისტიანებზედ, რომელნიცა მეორე დღეს უნდა მისცემოდნენ პირუტყვების ბრჭყალებსა.

როდესაც გაშალეს ვახშამი და ქრისტიანები დასხდნენ ფიქრით მოცულნი, როგორც თვისებაა წინათ ღამეს სიკვდილისა, მაყურებელნი დაიცინებოდნენ; რა

შესაბრალისნი არიან ესენი, ქვეყანაზედ. ხვალ ვნახავთ ამათს სეირსა. ახლა არ ეშინიანთ და ხვალ გამოჩნდება.

პანკრატის ეს რომ ესმოდა, დიდად შეწუხდა და უთხრა იმათ:

— ნუ თუ არ არის საკმარისი, რომ ხვალ უყუროთ ჩჳჱნს ტანჯვას? გვიყურეთ, გვიყურეთ! დაიხსოვეთ ჩჳჱნი პირის სახე, იქ სამსჯავროში, სადაცა განისჯებიან ყოველნი კაცნი, იქნება ვნახოთ ერთმანერთი.

ხალხმა იგრძნო ეს სიტყვები და ჩამოეცალა. იქ მხოლოდ დარჩნენ ახლო მცხოვრებნი და მეგობრები იმათ შორის იყო სებასტიანეც, რომელიცა რა დაინახა, ჰკითხა პანკრატიმ:

— საყვარელო ძმაო სებასტიანე, ხომ არ გინახავს დედა ჩემი? ეს რომ სთქვა, გადმოსცვივდნენ თვალებითგან ცრემლები.

სებასტიანე გაქვავებულივით იდგა და მეტის მწუხარებით პასუხი ვერ მისცა; პანკრატიმ დაუწყო კიდევ ლაპარაკი.

— საყვარელო დედავ! უთხარი ძმაო სებასტიანე, რომ ვკვდები სიხარულით ჩემის სარწმუნოებისათჳს;

უთხარი იმას, რომ იმედი მაქვს ვნახო მამა ჩემი, რომელიცა მოკლულა მართალის სარწმუნოებისათჳს. უთხარი ნუ შეწუხდება, ჩუჱნ ყველანი შეუერთდებით ზეციერსა მამასა.

— მე არ მინახავს დედა შენი, თუმცა ვიყავი იმასთან ორჯერ, მსახურნი ანბობენ რომ თავის სამლოცველო ოთახითგან არ გამოდიო, მინდოდა აქ მომეყვანა.

— აქა? არა, არა! მეშინიან იმისი ნახვისა, სიკვდილის წინა დღეს, თუმცა მსურს მივიღო იმისაგან ლოცვაკურთხევა . . . ის ვერ აიტანს . . . .

მოუვიდა ტირილი, რომველარ შეიმაგრა თავი, მერე კიდევ განაგრძელა.

— ნურარას ვიტყვით დედაზედ, მხოლოდ ერთი უნდა დაგაბარო. როდესაც მე აღარ ვიქნები, იცოდეს რომ მე მოვკვდი ბედნიერებით, სარწმუნოებით, სიმართლისათჳს . . . გახსოვს სებასტიანე, ის ღამე, როდესაც შენის ფანჯრითგან გადმოვსცქეროდით და შემოგვესმა ფოცხვერების ხმა, მაშინვე გულმა მიაზრა, მოვკვდები იმათის ბრჭყალებით სარწმუნოებისათჳს მეთქი ეს დიდებული სიკვდილია.

— ჭეშმარიტად რომ დიდებულია? სთქუა ჩუმათ სე-

ბასტიანემ.

სებასტიანეს მოუვიდა ცრემლები და დაიწყო ტირი-
ლი.

ამ დროს შემოვიდა და უთხრა ჩუმათ, რომ მეცისე მღუდელი შემოიპარა ციხეში და უნდა გაზიაროთო. პანკრატიმ მაშინათვე თავი დაანება სებასტიანეს და მივ-
და ციხის მიყრუებულს კუნჭულში, სადაცა შეკრებილ-
იყვნენ ქრისტიანები და მღვდელს აღსარებას ეუბნებო-
დნენ. იქ ყველა წრის ხალხნი იყვნენ, დიდნი და პა-
ტარნი, დედაკაცნი და კაცნი, ერთობ ქრისტიანები.

## XVII

მეორეს დღეს, დილით, მრთელი რომის სალხი მი-
ეშურებოდა კოლიზეისაკენ, სერის სანახავად, რომ ენა-
ხათ როგორ იქცეოდა უმანკო სისხლი ქრისტიანებისა, მძვინვარე პირუტყვთ ბრჭყალებში. იქ ჰყვანდათ ხუ-
თასი ლომი, ორმოცი სპილო, ფოცხვრები, ხარები, დათვები, რომელნიცა დაჩვეულნი იყვნენ კაცების წუ-
წასა, ჯალათები დარბოდნენ მხეცებივით, როდესაც ხალხი სულ შეიკრა და ყველამ თავთავისი ადგილი

დაიჭირა, მსაჯულის ბძანებით მივიდნენ ეს ჯალათები ციხის კარებთან, სადაცა მიეყვანათ ტუსაღები. დილით ადრიან, მსაჯულის ბძანებით, პირველად უნდა გამოეყვანათ ახალგაზდა ქრისტიანი ლასტენი, როდესაც ჯალათმა დაიძახა იმისი სახელი, იმან ხმა მოსცა.

— მე აქა ვარ.

— მოდი სიკვდილთან! უთხრა ჯალათმა.

— სიკვდილთან კი არა, სიცოცხლესთან, უპასუხა წყნარის ხმით. ის გამოვიდა თეთრის ტანისამოსით, ხა ხი ანბობდა, ახალი ჯვარდაწერილიაო; ტანისამოსი ეს თირრი, შეეკერა დედას საქორწილოდ, გვირგვინ ქვე შ. რომ გამოვიდა, იქ მყოფნი ყველანი განკვირდნენ იმის სილამაზეზედ.

როდესაც გამოდიოდა, ციხეში მყოფთ ქრისტიანებმა გალობით გამოაცილეს ერთის ხმით:

» გადიდებთ შენ ღმერთო! შენ ზეციერსა ალვიარებთ, მრთელი ქვეყანა შენ გადიდებ!»

ამ ყმაწვილს კაცს გულზედ ჰქონდა ჩამოკიდებულ ფიცარი, რომელზედაც ეწერა ქრისტიანია.

რა გამოიყვანეს, ლასტენი, იდგა უძრავად.

— თაყვანი ეც ჩვენ ღმერთებს! შესძახა ხალხმა ერთის ხმით

— ეჰა რომის ქალაქი? სთქუა ლასტენიმ, და ხმა იმისი ზარივით გამოსცემდა. ეჰა რომის ქალაქი შენ ჰხედავ ქრისტეს ფერხთა ქვეშ და თვალი შენი ნახავს, ეასწაულსა ჯვარისასა და თაყვანსა სცემ მას! ტაძარნი შენნი დაიქცევიან და განქრებიან საუკუნოდ.

ამ დროს მოიჭრა ერთი ახალგაზდა ქალი, არავის არ მიხედა და რა გამწარებული შევარდა შუა მეიდანზედ დაიძახა.

— მე აქა ვარ! ქრისტიანი ვარ! დმტანჯვეთ მეცა!

— მიუყარეთ ეს ქრისტიანებ პირუტყვებს. დაიძახა ერთის ხმით ხალხმა.

— სწორეთ ქრისტიანი ვარ, დამსაჯეთ!

— განა ეგეც გაამართლეს? სთქუა ერთმა ჯალათმა.

— გაამართლეს და გადასჭრეს, ქრისტიანი ვარ. განიმეორა ქალმა, ამ დროს მიიჭრა ის ქალი და გადაეხვია თავის ქმარს, ახალად ჯვარ დაწერილს ლასტენიასა.

— ცოლი ყოფილა, ცოლი ყვიროდა ხალხი,

— რა ლამაზია, რა ახალგაზდა! ანბობდნენ ბრიყვნი.

— რადგანც ქრისტიანი ყოფილა, დაეხსენით ეგეც ქმართან მოკვდეს.

ვონ აღწერს იმ საშინელებას, იმ სინაზეს, სიყვარულს და მწუხარებას ლასტენიასას, როდესაც იმან ნახა თავისი ცოლი.

— საყვარელო, რათ მოსველით! რათა გხედავ შენ აქა? როგორ უნდა ვიყო მოწამე და მომსწრე შენის სიკვდილისა. ოჰ, ღმერთო! რა საშინელი დასჯაა ჩემთვის! რათ მოხვედოდი?

— ჩემო მეგობარო, მიუგო წყნარის ხმით ცოლმა. ქრისტემ გვიბძანა ჩუჩნ. დაუტოვე დედა და მამა, აღიღე ჯვარი და შემომიდექ მე. იქ ესეცა სწერია რომ ცოლმა არ უნდა დაუტეოს ქმარი. მე მოველი შენთან მივკვდე. შევაკვდე ერთადა.

ესინი გადაეხვივნენ ერთმანერთსა.

ამ დროს ბუკის და წინწილის ხმაზედ, გარს დიდის ამალით შემოხვეული, მდიდარის ეტლით მოვიდა იმპერატორი მაქსიმინიანი, ავიდა და დაჯდა თავის ალაგს, გარს ესკივნენბრწყინვალედ ჩაცმულნი კარის კაცნი, როდესაც ყველა დამშვიდდა, ხალხმა ერთის ხმით შებღავლა.

— გამოასხით პირუტყვეაი! ჩქარა გამოასხით! პირუტყვთ დამმანვდევ სახლის რკინის კარები გააღეს

გალავანს ჩამოსცალდნენ ჯალათები. შუაში მხოლოდ დარჩნენ ორნი ცოლქმარნი ერთმანერთზედ გადახვეულები, ამ დროს უცებ გამოვარდა გააფთრებული ფოცხვერი და ეცა მსხვერპლს; ერთის თვალის დახამხამებამდინ გამოსცვივდნენ სხვანიცა და იქვე ჩანთქეს ორნივე საბრალონი. ხალხი უკრავდა ტაშსა და სიხარულით ყვიროდა.

იმის შემდგომს გამოიყვანეს რაც ტუსაღები იყვნენ და ყველას ეს საშინელი ხვედრი ეწია. სულ ბოლოს გამოიყვანეს პანკრატი, რომელიცა ოთხკუთხივ იყურებოდა და ეძებდა სებასტიანეს იმან ის დაინახა იქვე კარებთან. იმის გვერდით იდგა პირს ბადე ჩამოფარებული დედაკაცი პანკრატი შედგა და ჩაუარდა იმ დედაკაც ფეხებ ქვეშ.

— დედა ჩემო, დამლოცე?

იმან გადასწერა პირსჯვარი და თჳთანაც დაიწერა.

— მოიხსენე ესეც და მეც, შენ უფალო სასუფეველსა შენსა! სთქვა დედაკაცმა.

ამ დროს ხელი ჰკრეს კისერში პანკრატის და მიიყვანეს გალავანში. გამოუშვეს გარეული, გრძელ რქიანი ხარი, გამოვარდა თუ არა, დაიბღავლა და პანკრატის ახლოს რომ მიიჭრა, რქები ამკერა დედამიწას,

მიწის მტვერი ავარდახემოთ. როდესაც მტვერი დაიფანტა, ნახეს ჰანკრატი იდგა უვნებლად, და ლოცულობდა.

— ჯადოქარია, დაიყვირა, ხალხმა. ყელზედ თილისმა ჰკიდია! მოგლიჯეთ თილისმა

ჰანკრატი მიუბრუნდა კეისარსა.

— კეისარო! შეუძახა ჰანკრატიმ ჭახეს ხმით. მე ჯადო არა მაქვს, მე მხოლოდ ვატარებ ჯვარის ნიშანსა, ამასთან მაცხოვრია, ამასთანავე მოკვდები.

ჰანკრატის სილამაზემ, ახალგაზდობამ, განბედაობამ გააკვირვეს ხალხი.

— გამოუშვით ფოცხვერი! შეჰყვირეს ერთის ხმით.

გააღეს დიდი რკინის ყაფაზის კარები და გამოუშვეს ჯალათებმა ფოცხვერი, გამოვარდა თუ არა, ჯერ ერთი შეითამაშა და მერე შიმშილ მორეული, რომ დაინახა მსხვერპლი, ეცა ჰანკრატის, გაგლიჯა შუაზედ და დაუწყო ჭამა. ხალხი სიამოვნებისაგან ხარხარებდა და ტაშს უკრავდა.

## XVIII.

მაქსიმიანის სასახლეში. არზის დღე იყო დ~ ყველა-ნი შედიოდნენ. როცა არზების მიღებას მორჩა, ფუ-ლვია შევიდა, შევიდა კეისართან დ~ რა ცალ მუხლზედ დაიჩოქა, მოახსენა;

— კეისარო, თქჳჱნიღჳთაებრივი უმაღლესობა მა-ყვედრიდა, რომ ვერ ვასრულებ რიგიანათ ჩემს თანა-მდებობასა. ამ ყვედრებას ვიტანდი. დღეს დაგიმტკიცეთ, რომ მე ვარ შენი ერთგული მონა.

— როგორაო? სთქვი, ჩქარა!

— კეისარო! გარს გახვევიან მტრები, იმათ ხელში ხარ . . . შენი სასახლის მცველები არიან შენი მტრე-ბი. საშიშ მდგომარეობაშია ხარ.

— სთქვი ჩქარა რა ამბავია? უბძანა კეისარმა ში-შისაგან ფერ წასულმა.

— თქჳჱნი სასაჴლის მცველების უფროსი დ~ ბმა-

ნებელი სებასტიანე—ქრისტიანია.

— მერე რით ამტკიცებ მაგას? უბმანა კეისარმა.

ამ დროს წამოდგა წინ სებასტიანე და უთხრა.

— კეისარო! რათა თხოულობთ დამტკიცებასა? ეგ კაცი მართალს გეუბნება. მე ქრისტიანი ვარ და ამ სარწმუნოებით ვმედიდურობ.

მაქსიმიანე გაყვითლდა, მერე გაანჩხლდა, ბოლოს გონებაზედ რომ მოვიდა, იმან დაუწყო საზიზღარის სიტყვებით სებასტიანეს ლანძღვა.

— გამიგონე კეისარო! უპასუხა სებასტიანმა — მე გელაპარაკები შენ უკანასკნელად. ჩემა სიტყვებმა უნდა დაგამშვიდონ. აქ შეთქმა და მტრობა არა არის რა, არცა საშიშს მდგომარეობაშია ხარ. შენ მომანდე სასახლის მცველები, ვაღსრულებდი ჩემს ვალს კეთილ სვინიდისით, შენ ხარ მრთელი და წრფელი. მე არა მაქუს ის თჳსება, უღალატო ვისმეს არც შენთვის მიღალატნია;

— ქრისტიანიაო! ჩემი კარის მცველების უფროსი ქრისტიანია! ყვიროდა მაქსიმიანე. მაშ კარს მტრები მეულია. ვიღას ვენდო? ან ერთს წამს შემიძლიან მოსვენებით ვიყო. მადლობა იუპიტერსა! მე მსხვერპლად მივართმევ მრთელს ქრისტიანობასა, სულ გავწყვეტავ

უკვდავმა ღმერთებმა მიშველეს კიდევ, თორემ ამიკლე-დნენ.

— დაფიქრდი კეისარო, უთხრა სებასტიონემ, ღმერ-თებამ შე არ გიშველეს და არ შეგინახეს, ქრისტიანის ერთგულებამ დაგაცლა და შეგინახა, ის შენ გემსახურებოდა პატიოსნად. მე არა მჭირს ეგ თვისება, რომ მოვა-ტყუო ვინმე. ჩემი სარწმუნოება მაგას მიკრძალავს; ის მიბძანებს პატიოსნებით ავასრულო ჩემი ვალი. მე არა ვარ ორგული. მაგრამ შენზედ მაღალი არის ღმერთი. შენ წინ არაფერში მაქვს დანაშაული.

— რათა მალავდი შენს სარწმუნოებას? გეშინოდა?

— მე არა მშინებია და არც მეშინიან, მხოლოდ ჩემი ვალი იყო დამემალა რომ გამომეხსნა ქრისტია-ნები ღვინილებისაგან. ყოველიფერს ვითმენდი.

კეისარმა, მოიხმო ჯალათი და ჩუმათ წაუჩურჩულა,

— ხვალ დილა ადრიან უნდა გაიყვანო ეს სებასტი-ანე და ისე მოკლა, რომ რავინ შეიტყოს, თორემ ხალხი ყაყანს დაიწყებს. ეცადე არავინ შეიტყოს. ჩქარა, ხვალვე, გასწიე.

(შემდეგი იქნება)

# ტფილისის კლასიკური გიმნაზია.

---

საკვირველი დრო შეიქნა ახლანდელი დრო ჩუჱნთჳს; ყოველი ფერი წინ მიდის; სწავლა, განათლება, თითქმის განვითარება ყოველ გვარ საქმეში, ასე გასინჯოს კაცმა, მდაბიო ხალხის ყოფაქცევაც კი; მაგრამ, ჩუჱნ ბევრჯელ გაგვიგონია, ყური მოგვიკრამს, ბევრს უთქვამს, ამ დროსა ჴსმინავსო; წინ აღარაფერი მიდისო. არა ყველაფერი წინ მიდის, თუ ყურადღებით თვალ ყურს ვადევნებთ და თუ ყურს არაფერს ვათხოვებთ, მარტო ჩუჱნს შინაურს საქმეებს გამოვეკიდებით, და გაგვიტაცებს დღიური საზრდოსათჳს ზრუნვა, მაშინ რასაკვირველია, ქუჱყანა სულ სხუა სახედ გვეჩვენება და სახალხოდ უმადურებას გამოვაცხადებთ; ჩუჱნ ქართველები მაინც სულ უმადურები ვართ, რაც უნდა კა-

რგი დ კეთილი მოგვადგეს კარსა, კარგსა დ კეთილს აგრე ადვილად ვერ დავინახავთ დ ერთს მცირე ცუდსა რასამე რომ წავაწყდეთ, ამას კი ცხადად დავინახავთ დ უმადურებას შევმახით. ქართჳჱლებს ბევრი კარგი ანდაზები გვაქჳს, სხჳათა შესანიშნავს ანდაზებში, აქ ერთი ანდაზა გვაგონდება: «კარგის მთქმელს, კარგის გამგონეც უნდაო» მაშ კარგის დ კეთილის მოქმედსაც, კარგი ყური სდომებია. რამდენი რამ წასულა წარმატებაში, ჩჳჱ̃ ცხვირ წინ დ რამდენი მიდის, რომ ყურადღებაშიაც არ მივვიცრია; მერე ზოგიერთი იმ გვარი რამ არის წარმატებაში, რომლითგანაც წარმოდგება ჩჳჱნი შვილებისა დ შვილის-შვილებისათჳს საუმჯობესო ბედი დ ბედნიერება; სხჳათა ღირს შესანიშნავი წარმატებათა შორის ავიღოთ, ტფილისის კლასიკური გიმნაზია დ აბა ყურადღებით დაუკვირდეთ იმას, როგორც შინაგანს ისე გარეგანს ღირსებას დ წარმატებას დ დავინახავთ, თუ რა წარმატების დ გაუმჯობესობის ბიჯი გადაუდგამს; — ვისაც უნახავს დ გამოუკვლევია ამათი თხუთმეტის წლის წინათ რა იყო გიმნაზია, ეს ჩჳჱნი ბედნიერების დ უბედობის სათავე, ის ცხადად გაკვირდება დ ვერ იცნობს იმ ძველს გიმნაზიას, სადაცა

არცა შენობა იყო ღირსი თავის წოდებისა და არცა შესაფერი ჰსწავლა. . აბა ახლა შევხედოთ თუნდა გარეთგან. ესა ჰგავს დიდებულს მეფის სასახლეს, სადაცა ყოველი ფერი მოიპოვება, რასაც კი მოითხოვს ჩუენი შვილებისათჳს საჭიროება; ეს არის განშვენებული ერთის მხრით დიდებულის შენობაებით და მეორეს მხრით ხე-ხეხილებით, რომლით განშვენებულია ოთხივე კუთხით. . ამ დღეებში, მომიხვდა შემთხვევით ამ შენობაების ნახვა და ისეთი შთაბეჭდილება მომცა, რომ ჭეშმარიტად ბედნიერებად ვსთხოვ, ჩემს შვილს, რომ შევანდეს, აქა ჰქონდეს სწავლისათჳს შესაფერი ადგილი. ჯერ ეს უნდა მოვახსენოთ მკითხველთ, როგორც თვითან იციან კიდეც, რომ კაცისათჳს, ყოველგან საჭირო არის თავ და პირველ, ეს ორი რომ: ერთი ეკლესია, რომ უმთავრესი კაცისათჳს არის სარწმუნოება და მეორე საავათმყოფო ადგილი;—ამ გიმნაზიის დირეკტორს, რომელიცა არის უ. ქელიხოვსკის და რომელსაცა ხელახლად დაუბადავს ეს გიმნაზია, ჩუენ ქართველების საბედნიეროდ, მიუქცევია თავ და პირველად თავისი განათლებული ყურადღება ამ ორის საგანისათჳს. ეკლესია არის დიდებული და დი-

დებულის ხატებით შემკობილი, ისე რომ კაცს თჳთ
უგრძნობელსაც კი სასოება მიეცემა რომ შევიდეს, ისე
აღტაცებაში მოვა. აქედან შაველი, საავათ მყოფში და
შევდგი თუ არა ფეხი ზალაში, მრთელი ეს ზალა,
თითქოს ჩაფლული იყო სხუა და სხუა მშვენიერის ყვავი-
ლებში, რომლის სული კაცს საამოთ ეცემა შესვლისავე
უმალ; შიგა და შიგ ყვავილებში ჩადგმულები, სუფთად
მოფენილი საჯდომი ტახტები; ფანჯრები გადაჭყურებენ,
იქავე ბაღჩაში, საითკენაც გასავალი იქვე აქვს; ამ ზა-
ლის მარჯვნივ კარია ოთახებში, ავათ მყოფების სა-
წოლია, სადაცა დატრიალებენ ერთი მომვლელი დედა-
კაცი მოუშორებლად და მეორე ფელშარი. ისეთი სი-
სუფთავე არის, რომ მეტის წარმოდგენა აღარ ნეიძლე-
ბა; იქვე კრანტებით მოკამკამე წყლები გამოჩანჩქარებენ;
ზალის ოთხივე მხარეს, იშვიათი ფორთრეტები ჰკიდია.
დიდი ყურადღება აქვს დირეკტორს ქელიხოვსკის ამ
საგანზედ, და დიდი თანამგრძნობელობა ასე, რომ ჩუენ
თჳთან ვნახეთ, ერთს ავათმყოფს გვერდს უჯდა და
შუბლზედ ალერსით ხელს უსვამდა. კიდევ ვიტყვით,
დაუნახავნი ვართ,—აქედან გამიყვანეს, მარტო ზალა-
ში. შესვლისავე წამს, შევხედე პირ და პირ და ვნახე

დიდებული მხატვრობა, ჩუენის მაცხოვარისა, რომელიცა მრთელის ტანით, მშვენივრად დახატულია, წინ შემოხვევიან ყმაწვილები, რომელთაცა ლოცავს, მართლად და სასოებაში მომიყვანა. ეს მხატვრობა ჩასმულია სანდლის ხის ჩარჩოში, ჩუქურამებით და ეს ჩარჩო, ჩუქურთმები უკეთებიათ, უ. ქელიხოვსკის თავს მდგომობით, გიმნაზიის მოწაფეებს. კარგი რამ არის! რას არა ნახავს აქ კაცის თვალი დიდებულს და ხელოვნებით შემკობილს; აქ ნახავ, მაცხოვარს და გარს შემოხვეულს თორმეტს მოციქულთ, რომელიცა გამოქანდაკებულნი არიან, ალაბასტრისაგან; იქ ნახავთ ღუთის მშობელს, იმ მიმენტში დახატულს, როდესაც. შუა მაცხოვარი ჩუენი; ნახავთ პორტრეთებს, რაც მთავამართლებში ყოფისაქართუელოში; ნახავთ ჩუენს კელმწიფის მრთელის სახოობის მხატვრობასა და რამდენს შესანიშნავს, იშვიათს პორტრეთებს.—სხუათა შორის, კეთიშობილური აზრი მომეწონა ქელიხოვსკისა ერთს კუთხეში, ვარაყიან ჩარჩოებში, რომელნიცა ჰკიდიან კედელზედ, ვარაყის დიდროვანის ასოებით დაუწერინებია სახელები და გვარი, ან რამდენი წელიწადი უმსახურნიათ, იმ მასწავლებელთ, რომელნიცა გარდაცვლილან ქელიხოვსკის დი-

რექტორობის დროს; რა არის მოიგონონ მოწაფეებთ ღვაწლ დადებული მასწავლებელი და დამთეთ შემდგომთ შთამომავლობას; სხუათა შორის წავიკითხეთ, ჩუენი მცნობი, და დიდის ხნის ნამსახური, ქართულის ენის მასწავლებელი ზაქარია სტეფანიჩი ყორღანოვი. ამ ზალიდან გავედით, იმ ზალაში, სადაცა ასწავლიან გეოგრაფიასა. აქ კედლებზედ გამწკრიებული არიან ურიცხვნი ფრინველნი, პირუტყვების მხატვრობანი.. ერთს კუთხეში, ვნახეთ კელოვნიურად ქაღალდისაგან გაკეთებული დარიალის ხეობა; გუნიბი და სხუა ფიზიკურს კაბინეტში რომ შევედ: ისეთი ინსტრუმენტები ვნახე, რომელიცა ადრე გიმნაზიაში სრულებით არა ყოფილა. შუა გულს, ჰკიდა ქვეყნის სიმრგვლე, საჩვენებლაჲ თუ როგორ ტრიალებს ქვეყანა: ამის გვერდზედ ოთახში მასწავლებელთ ოთახი არის და ჩინებული ბიბლიოტეკა, ყოვლის სიკეთით განშვენებული, რომლის მგზავსი ჯერ ამ ჩუენ გიმნაზიაში არა ყოფილა. ვნახე ყმაწვილების საწოლი ოთახები, თავის რკინის კრაოტებით, სუფთად და მიმბულები მწკრივათ, რომლის თავში, დიდის ჩარჩოში, ჰკიდია მხატვრობა მცველის ანგელოზისა; წინ სამწიგნობარია, ლოცვისათჳს და-

წოლის დროს; აქედან გამიყვანეს იმ ოთახში, სადაცა მუზიკას ასწავლიან. სასიამოვნო იყო ნახვა ყმაწვილებისა, რომელთაცა ეჭირათ სხუა და სხუა მუზიკის ისტრუმენტები და ჰსწავლულობდნენ მხიარულად. ვნახე აბანო და ყველა რაც კი რამ მაჩვენეს, ღირსი არის ყურადღებისა, რომ ნახო მკითხველო, მართლადაც იტყვი, ამის თაოსანს ბევრი შრომა დასჭირდებოდა, და ბევრჯელ ღამის გატეხა ფიქრისაგანაო. ეს შრომა და ღამეების გატეხა, გამოუვლია უ. ყელიხოვსკის. რაც სწავლას შეეხება აქ მხოლოდ ამას ვიტყვით, რომ ადრე, ვინც კურს ასრულებდა აქა და მიდიოდა უნივერსიტეტში, დიდი ქება იყო, ორი, თუ სამი მიეღოთ, ისიც თუ მოემზადებოდა რომლისამე არა ფესორის შემწეობით, ახლა ეს ვიცით, რომ ვინც აქ კურს ასრულებს და მიდიან, არც ერთი არა რჩება მიუღებელი. აქედან სჩანს, თუ რა სწავლა არის ახლა. ეს არის სამწუხარო, ყური მოვკარით, ვითამც ყელიხოვსკის აძლევდნენ უკეთესს ალაგს. ღმერთმა ინებოს ეს მაინც, თუ იმისი მზგავსი არ იქნება, შეინახოს და გაუზრთხილდეს იმ მდგომარეობას, რა მდგომარეობაშიაც არის ახლა ჩუენი კლასიკური გიმნაზია,—ეს, პირველი

ჩუენი შვილების იმედი და იმათი ბედნიერების წყარო, რომელთათჳსაც ასე ზრუნავს ჩუენი კეთილის მყოფელი მთავრობა.—

1874 წ. 4-ს. იანვარს. ი. კ.

ქ. ტფილისს.

## 1874 წელსა

«ცისკრის» დაბარება შეიძლება ამ სახით: ტფილისში, ადგილობრივ გაუგზავნელად, თუ გაგზავნით **8** მანეთი.

რედაქცია იმყოფება ბაზრის ქუჩაში თამამშოვის სახლებში.

ვისაც ჟურნალი დააკლდეს ან თავის დროზედ არ მიერთოს, უმორჩილესად ითხოვს რედაქცია, მაშინვე აცნობოს ამ ადრესით:

*Въ Тифлисъ, Редактору грузинскаго журнала «Заря» И. Кереселидзе, при типографіи Е. Хеладзе.*

*Дозволено Цензурою Тифлисъ, 2-го февраля 1874 года.*